პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 14 (3244)
1967 წ. 19 იანვარი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ საბჭოში

## აშენებენ სტუდენტები

ამ ბოლო წლებში დნეპროპეტროვსკის უმაღლეს სასწავლებლებში დიდი მუშაობა ჩატარდა ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განმტკიცებისთვის. სტუდენტებმა და მასწავლებლებმა რექტორების და საზოგადოებრიობის დახმარებით ააგეს 3 სამდარბაზიანი და 1 ორდარბაზიანი კორპუსი, საცურაო აუზი გათბობით, საწყლოსნო სადგური ელინგით აკადემიური ნავებისთვის, 50-მეტრიანი ტირი, თამაშობების სტადიონი. მათვე კეთილმოაწყეს ექვსი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი. ამგვარად, ქალაქის რვა უმაღლეს სასწავლებლიდან შვიდს კარგი სპორტული ბაზა აქვს.

მშენებლობა გრძელდება. უმაღლესი სასწავლებლების პარტიულმა კომიტეტებმა და სამეცნიერო საბჭოებმა დასახეს სპორტნაგებობათა მშენებლობისა და კეთილმოწყობის პერსპექტიული გეგმები 1967-1969 წლებისთვის.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ განიხილა დნეპროპეტროვსკელთა გამოცდილება, მოიწონა და წინადადება წამოაყენა გაავრცელოს იგი. გადაწყდა: სასწავლო და სპორტული მეცადინეობის მატერიალური ბაზების განმტკიცების საქმეში წარმატებისთვის საპატიო სიგელებითა და ნიშნით „ფიზიკური კულტურის წარჩინებული“ დაჯილდოვდეს რექტორების, ფიზაღზრდის კათედრების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების, პარტიული და კომკავშირული მუშაკების დიდი ჯგუფი.

## იტალიაში... სოხუმს გავლით...

**სოხუმი** (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ სასწავლო შეკრებას გადის სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრები გუნდი, რომელსაც გაზაფხულზე ძნელი და საპატიო გამოცდის ჩაბარება მოუწევს. როგორც ცნობილია, მაისში იტალიაში ჩატარდება ევროპის პირველობა და ახლა მთელი ყურადღება სწორედ ამ შეჯიბრებაში წარმატებით მონაწილეობას ეთმობა.

კრივის საკავშირო ფედერაციამ საწვრთნელ შეკრებაზე საქართველოს ნაკრები გუნდიც დაუშვა. ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს შეკრება ხალხთა IV სპარტაკიადისთვის სამზადისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება. შეკრებაზე მოწვეული არიან რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელებიც — სპორტის დამსახურებული ოსტატები შ. გორგასლიძე, ა. ნოვოხარლოვი და გ. ვართანოვი.

## უკანასკნელი საათი...

◆ **ბევერვეიკი**, 18 იანვარი. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები ბ. სპასკი და ა. ლუტიკოვი. თვითეულს 5 ქულა აქვს. VI ტურში სპასკიმ მოუგო ჰოლანდიელ გ. რეეს, ხოლო ლუტიკოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ავსტრიელ კ. რობაჩთან. საბჭოთა მოჭადრაკეების უახლოესი მეტოქეები — ჩეხოსლოვაკიელი ლ. კავალეკი და დანიელი ბ. ლარსენი 2 ქულით ჩამორჩებიან.

◆ **კონაკრი**, 18 იანვარი. ახალგაზრდა გვინეელმა მოკრივეებმა, რომლებთაც მოსკოველი ვ. კონჩენკო წვრთნის, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გდრ-ის ოლიმპიურ ნაკრებს. გამოცდილმა სტუმრებმა ორ მატჩში მინიმალურ უპირატესობას მიაღწიეს — 6:4 და 5:4.

◆ **მილანი**, 18 იანვარი. „ინტერნაციონალეს“ ფეხბურთელებმა კორექტული თამაშის რეკორდი დაამყარეს: იტალიის ჩემპიონატის 98 მატჩში მათ კარში არ დანიშნულა არც ერთი 11-მეტრიანი საჯარიმო.

◆ **აახენი** (გფრ). 18 იანვარი. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა — გფრ-ის ფეხბურთელებმა წლეულს პირველი მატჩი ლუქსემბურგის ნაკრებთან გამართეს და მოიგეს — 2:0 (1:0).

◆ **კაირო**, 18 იანვარი. აფრიკის ტურნეს პირველ მატჩში გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს შეხვდა. გაიმარჯვეს გერმანელებმა — 2:1 (1:0).

◆ **ლვოვი**, 18 იანვარი. ი. ფრანკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა უჩვეულო სპორტული ასპარეზობა. სარბიელზე ერთმანეთს დაეჭიდნენ „დინამოს“ უძლიერესი სამბისტი ქალები. მაღალი ოსტატობა გამოავლინეს დებმა — 15 წლის სვეტა და 18 წლის გალინა მორგუნებმა. „დინამოს“ საოლქო საბჭოსთან შექმნილია სამბისტ გოგონათა სექცია, რომელშიც 15 სპორტსმენია ჩაბმული.

◆ **რიგა**, 18 იანვარი. დღეს აქ შედგა ადგილობრივი ტტტ-სა და ბუდაპეშტის მტკ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდების განმეორებითი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. თამაში თავიდან ბოლომდე რიგელების უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 69:32 (37:11). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 6-გზის მფლობელი — რიგის ტტტ წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

ზამთარია, მაგრამ თბილისში მისი სუსხი თითქმის არც იგრძნობა — კარგი, იანვრის თვისთვის უჩვეულოდ თბილი დარი დგას. ბუნების ამ წყალობით კარგად სარგებლობენ მძლეოსნები, ნიჩბოსნები, ცხენოსნები, ველოსიპედისტები და ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე ვარჯიშობენ, იმაღლებენ ტექნიკას, ემზადებიან წლევანდელი დიდი სტარტებისთვის. მათ ხომ ამ სეზონში ბევრი წინაღობა აქვთ გადასალახავი — წინაა საქალაქო, რესპუბლიკური და მერე სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა.

სურათზე: ნიჩბოსნები მტკვარზე ვარჯიშობენ.

ფოტო ო. გელაშვილისა.

მსოფლიო პირველობა ხელბურთში

## მეოთხე ადგილი განაღდებულია

**სტოკჰოლმი**, 18 იანვარი. უკან დარჩა ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის I ეტაპი — წინასწარი შეხვედრები. გამოვლინდა 8 უძლიერესი, რომელთაც მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ერთდღიანი შესვენების შემდეგ ტურნირი კვლავ განახლდა. სსრ კავშირის ნაკრები წილისყრამ გფრ-ის ძლიერ გუნდს შეახვედრა. ამ კოლექტივს წინასწარ შეხვედრებში არც ერთი ქულა არ დაუკარგავს. ჩვენები მოედანზე საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა ხელბურთელი, რომელმაც ამ მატჩში მონაწილეობა მიიღო, ალმავლობით, მახვილგონივრულად თამაშობდა. მაყურებელმა შესანიშნავი ხელბურთი იხილა.

დასავლეთ გერმანიის ნაკრები უდავოდ ძლიერი კოლექტივია. ტურნირში ეს გუნდი თავიდანვე ერთი უმთავრესი განზრახვით ჩავა — დაემტკიცებინა, რომ გერმანელთა გამარჯვება მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში, II და III ადგილები შემდეგ ჩემპიონატებში შემთხვევითი კი არა, კანონზომიერი მოვლენა გახლდათ და რომ გერმანელი ხელბურთელები ახლაც უთუოდ საპრიზო ადგილის ღირსნი იყვნენ. მართლაც, გფრ-ის ათლეტებმა მთელი თავიანთი ძალა და უნარი მოახმარეს სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩს, მაგრამ მოგება მას ხვდა, ვინც უკეთ წარმართა ბრძოლა.

ჩვენმა ხელბურთელებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 19:16 და ნახევარფინალში გავიდნენ. მატჩის საუკეთესო ბომბარდირი იყო ი. კლიმოვი — 8 ბურთი. ჩვენი ნაკრების წევრთაგან დანარჩენი გოლები გაიტანეს: სოლომკომ — 4, ცერცვაძემ და ფხაკაძემ — 2-2, ეიზენტავიჩუსმა, ლებედევმა და ექსეულიძემ — თითო.

გუშინ გაიმართა კიდევ 3 მეოთხედფინალური შეხვედრა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რუმინეთის ნაკრები ეთამაშებოდა უნგრეთის გუნდს. უნგრელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არათუ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონს, ზოგჯერ ჯობდნენ კიდეც მას. მძიმე, დაძაბულ ბრძოლაში უფრო გამოცდილმა მეტოქემ მხოლოდ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა — 20:19.

ყველასთვის მოულოდნელი გახლდათ იუგოსლაველთა ძლიერი გუნდის წაგება დანიელებთან — 13:14. ასეა თუ ისე, იუგოსლაველებს ბედს უნდა შეურიგდნენ და V-VIII ადგილებისთვისღა იბრძოლონ.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა შედარებით იოლად მოუგო შვეციას — 18:11. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ჩეხოსლოვაკიელთა თამაში ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამრიგად, ხვალ გამოირკვევა ფინალისტთა ვინაობა, 21 იანვარს კი გაიმართება გადამწყვეტი მატჩი და შეხვედრა III-IV ადგილებისთვის. საბჭოთა ნაკრებს IV ადგილი განაღდებული აქვს.

## მომავალ ოსტატთა აღსაზრდელად

ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლებში დიდად იმატა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების რაოდენობამ და მოსალოდნელია, რომ მათი რიცხვი წლევანდელ სეზონში კიდევ უფრო მეტი იქნება. ასეთ მატჩებს, ბუნებრივია, ჭირდება შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის ფეხბურთელებიც, რომელთა აღზრდა და მზადება ძირითადად ადგილებზე, ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების ხარჯზე უნდა წარმოებდეს.

მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ ჩვენი „ბ“ კლასის კოლექტივები ივიწყებენ თავიანთ მთავარ ამოცანას: მისცენ მაღალხარისხოვანი შევსება ქართულ ფეხბურთს, იფარგლებიან ვიწრო სატურნირო ინტერესებით, მხოლოდ ადგილის დაკავებით გათამაშების ცხრილში და ამის გამო ნაკლებად პერსპექტიული, ასაკოვანი მოთამაშეები ჰყავთ თავიანთ შემადგენლობებში. კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდობა რჩება სათამაშო მინდვრის მიღმა.

ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს ბიურომ დაადგინა რესპუბლიკის „ბ“ კლასის გუნდებისთვის დაწესდეს შემდეგი ასაკობრივი ლიმიტები: მატჩის დროს მინდორზე შეიძლება იყოს 5 მოთამაშე 20 წლის ასაკამდე (ჩათვლით) და 6 მოთამაშე — 26 წლის ასაკამდე (ჩათვლით). ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს ჩვენი გუნდების მკვეთრ გაახალგაზრდავებას.

## ახალი ამბები

● **ლილი**, 18 იანვარი. აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო კროსი გაზეთ „ლა ვუა დიუ ნორის“ პრიზზე. 9-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე ადრე დაამთავრა ირლანდიელმა დ. გრეჰემმა — 27.28,0. II იყო ჟ. ვადუ (საფრანგეთი) — 27.30,0. III — ი. ტიურინი (სსრ კავშირი) — 27.30,0. IV-V ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ: ს. ბაიდიუკი — 27.33,0 და რ. შარაფუტდინოვი — 27.30,0.

● **ლენინგრადი**, 18 იანვარი. მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს გამარჯვებულები გამოვლინდნენ ტრამპლინიდან ხტომაში. კვლავ ისახელა თავი ვეტერანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ. მართალია, პირველობა ჩეხოსლოვაკიელმა ვ. დივილამ მოიგო (227,5 ქულა, ნახტომები 71,5 და 73,5 მ), მაგრამ წაქაძემ ყველა სხვას აჯობა და II ადგილი დაიკავა — 218,6 ქულა (69,5 და 69 მ). III იყო პ. კოვალენკო — 114,6 (65,5 და 73 მ).

● **ოსლო**, 18 იანვარი. „ბიშლეტის“ სტადიონზე გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ნორვეგიისა და სსრ კავშირის მოციგურეთა ეროვნული ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. პირველ დღეს ასპარეზობდნენ 500 და 5000 მეტრზე რბენაში. სპრინტერულ დისტანციაზე ყველას აჯობა სსრ კავშირის ჩემპიონმა, სვერდლოვსკელმა ბ. გულიაევმა — 40,9. ასეთივე დრო აჩვენა კოლომნელმა სტუდენტმა, 20 წლის ვ. მურატოვმა. 5000 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენს, ნორვეგიელ ა. მაიერს — 7.40,8. II, III და IV ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა მოციგურეები: ვ. კაპლანი, ს. სელიანინი და ა. ჩეკულაევი. 2 დისტანციის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა მოციგურეები — 149:123. დღეს გაიმართება შეჯიბრებები 1500 და 10000 მეტრზე რბენაში.

● **ბევერვეიკი**, 17 იანვარი. აქ მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში გაიმართა IV ტური. ა. ლუტიკოვმა დაამარცხა ფ. კუიპერსი (ჰოლანდია), ხოლო მეორე საბჭოთა მოჭადრაკემ — ბ. სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კ. რობაჩთან (ავსტრია). დ. ვან გეეტმა (ჰოლანდია) მოუგო ლ. კავალეკს (ჩეხოსლოვაკია). ჰოლანდიელები ი. დონერი და კ. ლანგევევი დაზავდნენ. 4 ტურის შემდეგ ლუტიკოვს 4 ქულა აქვს, სპასკის — 3, ვან გეეტს — 2,5, ხოლო დონერს — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია.

# საგზურები ჯერ ვაკანტურია

„ლელოს“ ინტერვიუ

გუშინ მოჭადრაკე ვაჟთა XXXIV ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილეს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ბ. ბარანოვს და ესაუბრა მას:

**● როგორ აფასებთ ტურნირის პირველ ნახევარს?**

— როგორც მსაჯს, მეკრძალება ბევრის თქმა, მაგრამ როგორც ოსტატს, რასაკვირველია, ამ საკითხზე ჩემი შეხედულება მაქვს.

უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ტურნირის შემადგენლობა თანაბარი ძალისაა. სუსტი არავინაა, არიან მხოლოდ უიღბლონი, რომელთაც წარუმატებლად აიღეს სტარტი, შემდგომ მათაც გააუმჯობესეს თამაში და ბრძოლაც უფრო საინტერესო გახდა. ჩემი აზრით, ამჟამად ჩემპიონატის ყველა მონაწილე მთელი თავისი შესაძლებლობით თამაშობს.

ამას გარდა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდნენ უფრო გამოცდილი მოჭადრაკეები — დიდოსტატები, ოსტატებიდან მათში მხოლოდ ა. ლეინი და ა. გიპსლისია.

**● რომელი მოჭადრაკის თამაშს აღნიშნავდით განსაკუთრებით?**

— ე. გელერისას. მისი პარტიები მუდამ გამოირჩევა ჩანაფიქრის სიღრმით და იდეის კარგი ტექნიკური ხორცშესხმით. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ გელერის შეხვედრები ნიკოლაევსკისთან, შტეინთან და ვასიუკოვთან. შემოქმედებითი თამაში იოლი როდია. გელერი ალბათ, „ისვენებს“, რაკი ბოლო 5 შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

**● ამბობენ, შტეინი თამაშის მანერით გელერის ტყუპის ცალიაო: რა შთაბეჭდილებას ტოვებს მისი პარტიები?**

— შტეინი დამაჯერებლად იბრძვის. მის თამაშში რაღაც საიდუმლოება იგრძნობა: მეტოქენი ვერც კი ხვდებიან, როგორ აგებენ მასთან. გაიხსენეთ შტეინის პარტიები ხოლმოვთან, ან ტაიმანოვთან. ვფიქრობ, იგი და გელერი საზონათაშორისო ტურნირის საგზურების სერიოზული პრეტენდენტები არიან.

**● ოლიმპიელების გამოსვლაზე რაღას იტყვით?**

— ჩემი აზრი შტეინზე უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხებათ პოლუგაევსკისა და კორჩნოის, მათ თამაშს დაღლილობის ბეჭედი აზის. მაგრამ ასეა თუ ისე, ეს „სამი მუშკეტერი“ ტოლს არავის უდებს.

**● რომელი პარტიები მიგაჩნიათ საუკეთესოდ?**

— მე უკვე დავასახელე გელერისა და შტეინის ღრმა შინაარსით გამსჭვალული პარტიები. კომბინაციურებიდან — სუეტინ — პოლუგაევსკის, ლეინ — პოლუგაევსკისა და გურგენიძე — ლეინის პარტიები მომწონს. ამ შეხვედრებში წარმტაცი შეწირვები განხორციელდა.

**● რა აზრისა ხართ ბ. გურგენიძის თამაშზე?**

— ქართველი ოსტატი ღრმა და თვითმყოფადი მოჭადრაკეა, მაგრამ ყველა სტადიაში თანაბარი ძალით ვერ თამაშობს. იგი მოიკოჭლებს უპირატესობის რეალიზაციის ტექნიკაში. ბუხუტიმ შესანიშნავად ჩაატარა პარტია კორჩნოისთან, მაგრამ როცა თვალშესავლები უპირატესობა მიიღო, მისი გამოყენება ვერ შეძლო. იგივე გამეორდა სუეტინთან შეხვედრაში.

**● თქვენის აზრით, როგორია პერსპექტივა?**

— იმის თაობაზე, თუ რომელი ოთხი მოჭადრაკე მოიპოვებს საზონათაშორისო ტურნირის საგზურს, შეიძლება მხოლოდ იმარჩიელო. ამ საგზურებზე, სულ ცოტა, 10 კაცს უჭირავს თვალი. სწორედ ეს განაპირობებს სიმძაფრეს შემდგომი ბრძოლისას, რომელიც ალბათ, უფრო დაძაბული იქნება, ვიდრე სტარტზე იყო.

ა. ლეინი

ბ. კროგიუსი

ფოტო ა. საკოვისა.

XXXIV ფინალი

# 404 ქიში და... 1 შამათი

●

**სტატისტიკოსის უბის წიგნაკიდან**

●

აი, ზოგიერთი მონაცემი 12 ტურის შემდეგ:

● დიდოსტატებმა ერთმანეთში 36 პარტია ითამაშეს. 17 შეხვედრა შედეგიანი იყო, 19 ყაიმით დამთავრდა. თეთრებმა მოუგეს შავებს ანგარიშით 21,5:14,5.

● ოსტატთა მიკროტურნირში, რომელშიც გამარჯვებულს „ლელოს“ პრიზი გადაეცემა, 18 პარტიაა ნათამაშები. მათგან მხოლოდ 7 ყაიმით დამთავრდა. ჯერჯერობით აქაც ბრძოლა თეთრების უპირატესობით მიმდინარეობს — 11,5:6,5. ყველაზე წინაა ა. გიპსლისი — 4 ქულა 5-დან.

● ოსტატები დიდოსტატებს 66-ჯერ შეხვდნენ. თეთრებით მათ 15,5 ქულა მოაგროვეს, შავებით — 14. მათ 9 პარტია მოიგეს და 41 ყაიმით დაამთავრეს.

● 11 ტურში გურგენიძემ 9 პარტია გადადო. მათი დამთავრებისას 3 წააგო და 6 ყაიმით დაამთავრა.

● 12 ტურში სმისლოვსაც 9 პარტია ჰქონდა გადადებული. მან 3 მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და 2 წააგო.

● მხოლოდ ორჯერ გადადეს პარტია ნეიმ, ბრონშტეინმა, გიპსლისმა, ლეინმა და ლიბერზონმა.

● გადადებული პარტიების დამთავრებისას ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს კროგიუსს — 2,5 ქულა 3-დან.

● 12 ტურში მონაწილეებმა 404 ქიში გამოაცხადეს, ხოლო მეფე... ერთხელ დამამათდა. ყველაზე მეტი ქიში გურგენიძემ (46) გამოაცხადა.

# ციური „სტალიონების“ ლა

მთებში კარგა ხანია დაზამთრდა, მაგრამ სსრ კავშირის მთამსვლელობის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ მხოლოდ ახლახან შეაჯამა ქვეყნის XVII ჩემპიონატის მონაწილეთა საზაფხულო ასპარეზობის შედეგები. ტექნიკურად რთული ასვლების კლასში ოქროს მედლები მოიპოვეს ყაზახეთის სპარტაკელებმა. I ადგილი მათ მიეკუთვნათ „თავისუფალი კორეის“ (4.730 მ) პიკის ჩრდილოეთ კედლით დაპყრობისთვის. ეს მწვერვალი ყირგიზეთის ალა-თაუშია.

გამოცდილი კაპიტნის, სპორტის საპატიო ოსტატის, გეოლოგ ბ. სტუდენინის მეთაურობით ხუთ დღეს უტევდნენ 1.100-მეტრიან კედელს სპორტის ოსტატი, სტუდენტი გ. პეტრაშკო, ოსტატობის კანდიდატები, გეოლოგი ვ. რეზნიკი და ფიზიკოსი ო. კოსაჩევი. კლდის ფერდობი ხშირად 90 გრადუსს აღწევდა. სპორტსმენები იძულებული იყვნენ ალპინისტური ტექნიკის მთელი არსენალი გამოეყენებინათ.

მეორე დღეს სპორტსმენებმა 9,5 საათი მოანდომეს 102 მეტრის გავლას. განსაკუთრებით გაჭირდა კლდის ვიწრო, 60-გრადუსიანი ციცაბოს დაპყრობა. იმისთვის, რომ კლდეზე აეღწიათ და პალო ჩაესოთ, ყინულის მთელი ფენების ჭრა იყო საჭირო, კლდის პირი კი ადვილად იშლებოდა, ზევიდან ქვები და ყინულის ნამსხვრევები ცვიოდა. ალპინისტებს საგანგებო დამცველი ჩაჩქანები ეხურათ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ კომფორტზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. 3 ღამე უფსკრულზე გაკიდულ ჰამაკებში გაატარეს. მთელი ერთი ღამე კი ისხდნენ და ისე ეძინათ. ჭამის დროს იძულებული იყვნენ თავის დასაზღვევად კლდეზე მიებათ ერთმანეთი.

წინა ორ ჩემპიონატში ბ. სტუდენინი და მისი ამხანაგები „ვერცხლს“ დასჯერდნენ, ახლა მოპოვებულ ოქროს მედლები კი ყაზახეთის სპარტაკელთა მეგობრული კოლექტივის დიდი და დამსახურებულ გამარჯვებაა.

სასიმაღლო-ტექნიკური ასვლების კლასში (მწვერვალებზე, რომელთა სიმაღლე 5.000 მეტრზე ნაკლები არ არის) დიდ წარმატებას მიაღწიეს ყაბარდო-ბალყარეთისა და უკრაინის სპარტაკელებმა, რომელთაც ოქროს მედლები გაიყვეს. ყაბარდო-ბალყარეთის ალპინისტები 8 დღის განმავლობაში უტევდნენ ტაჯიკეთის პიკის აღმოსავლეთ კედელს (6.565 მ პამირის სამხრეთ-დასავლეთით rთულ მონაკვეთებში სპორტსმენებმა კაპრონის კიბეები და 200-ზე მეტი პალო გამოიყენეს. მცირე სიმაღლეებზე ეს ჩვეულებრივი ამბა ვია გამოცდილი ამსვლელებისთვის მაგრამ 5.000 მეტრს ზევით აშკარად იგრძნობა ჟანგბადის ნაკლებობა ამას გარდა, პალოს ჩასობის დრო

# მწვრთნელთა საკავშირო სემინარზე

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, მუშაობას განაგრძობს „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელთა სემინარი. 100-ზე მეტი მწვრთნელი იმაღლებს კვალიფიკაციას გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. სემინარის თემა მრავალფეროვანი და საინტერესოა.

სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. ტოვაროვსკი, გ. კაჩალინი, პროფესორი ა. ნოვიკოვი და სხვანი. მომხსენებელთა შორის იყვნენ უცხოელი მწვრთნელებიც, კერძოდ, უნგრეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი რ. ილოვსკი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჰ. შიონი, ჩეხი სპეციალისტი, დოცენტი რ. ხოუტკა და სხვანი.

ჰ. შიონმა განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია თავისი კოლეგების დიდი ფორუმით, რომ ასეთ შეკრებებზე ხდება ახლის ძიება, გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარება. „ჩვენ ვისწრაფვით ვასწავლოთ ფეხბურთელებს, ყველას უკლებლივ, — თქვა მან, — აწარმოოს შეტევა, როცა ბურთი მის გუნდს აქვს და გადავიდეს დაცვაზე, როგორც კი მას დაეუფლება მოწინააღმდეგე.

საინტერესო განცხადებით გამოვიდა რ. ილოვსკი:

— არ შეიძლება პრიორიტეტი მიეცეს საფეხბურთო თამაშის მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს. ჩვენ არ შეგვეძლო გამოგვეყენებინა სისტემა 4-2-4, ვინაიდან არ გვყავდა კარგი შემსრულებლები, პრესა კი ხშირად გვესხმოდა თავს ბრაზილიური სისტემის იგნორირებისათვის და დაცვითს ტენდენციებს გვწამებდა. მაინც, ჩვენ გადავწყვიტეთ გვეთამაშა ე. წ. „თავისუფალი“ მცველის გამოყენებით, ამასთან ამ ვარიანტს მივმართავდით ძირითადად უცხოეთში გამოსვლისას. მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ჩვენი სისტემა თავისებური და, რაც მთავარია, აგრესიული ყოფილა.

სემინარის მსმენელები უდიდესი ინტერესით ელოდნენ ცნობილი მწვრთნელისა და სპეციალისტის ელენიო ერერას გამოსვლას. ე. ერერამ თავისი სიტყვა დაიწყო ასე:

— მე თქვენთან ჩამოვედი არა როგორც პროფესორი და დამრიგებელი, არამედ როგორც კოლეგა და მეგობარი.

იტალიის კლუბის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელმა თავის 2-საათიან ლექციაში, რომელიც მან ფრანგულად წაიკითხა, ილაპარაკა ამ კლუბში დაკანონებული წვრთნის მეთოდებზე. იგი ლაპარაკობდა ისე, რომ თარჯიმანი ზოგჯერ ვერ ასწრებდა თარგმნას და მაშინ ე. ერერა პატარა სცენაზე თვითონ აჩვენებდა დამსწრეებს ფეხბურთის ტექნიკის ზოგიერთ ელემენტს. როცა სემინარის ხელმძღვანელმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ტოვაროვსკიმ იტალიიდან ჩამოსულ სტუმარს წინადადება მისცა შესვენება მოეწყოთ, ერერამ უპასუხა, რომ იგი დღეს კარგ ფორმაშია და ურჩევნია განაგრძოს ლექცია.

— თანამედროვე ფეხბურთში, — თქვა ერერამ, — თვითეულ მოთამაშეს საჭირო მომენტში უნდა შეეძლოს პარტნიორის შეცვლა. ეს ჩემი კრედოა. ჩემს მოთამაშეებს ყოველთვის ვუღვივებ შეტევის გრძნობას და ამიტომ მეცადინეობებზე დაცვითს ფუნქციებს ხშირად ასრულებენ თავდამსხმელები და — პირიქით. ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით და მწვრთნელმა ყოველთვის უნდა შეძლოს მეცადინეობის პროცესში ვარიანტების ცვლა და სიახლეთა შეტანა.

ე. ერერა არ ეთანხმება თავის ინგლისელ კოლეგებს, რომლებიც ფეხბურთელებს აიძულებენ ტექნიკურ მზადებაში მეცადინეობის წინ გაირბინონ მინდვრის გარშემო 20 წრე. „ჩვენში, იტალიაში, იყო ერთი მწვრთნელი, რომელიც ისე ტვირთავდა მეცადინეობისას ფეხბურთელებს, რომ დასასვენებლად მათ რჩებოდათ მხოლოდ... კალენდარული მატჩები. ბურთი — მეგობარია ფეხბურთელისა, იგი უნდა დაემორჩილოს მას, ამიტომ ჩემი ლექცია საბჭოთა კოლეგებისთვის ავაგე ისე, რომ შემსრულებლებად ვარჯიშებზე იყვნენ ისეთი ოსტატები, როგორც იაშინი ან ვორონინი. აქ საჭირო აღარაა ხოლმე დიდხანს აუხსნა მოთამაშეს ესა თუ ის ვარჯიში.

ე. ერერამ განაცხადა, რომ საბჭოთა მწვრთნელთა ერთ-ერთი შეცდომაა მეცადინეობის დროს არასაკმარისი ყურადღება კარში დარტყმებისადმი სათამაშო პირობებთან მიახლოვებულ ვითარებაში.

გუშინ ელენიო ერერამ სემინარზე წაიკითხა ლექცია ფეხბურთის ტაქტიკის საკითხებზე.

[illegible]

## ✦ ჭიათურა

ერთ თვეს გრძელდებოდა ჭიათურის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო კალათბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და მძლეოსნობა. საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვეს ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. ხითარიშვილი).

მ. ლაბაძე,
ჭიათურის მე-4 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ

| N/N | მონაწილენი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გელერი | ■ | 1 | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 2 | ვასიუკოვი | 0 | ■ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | 0 |  |  |  |  |  |  |  |  |  | 1 |  |  |
| 3 | ოსნოსი | 1 | ½ | ■ | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 0 |  |  |  |  |  |  |  |  |  | ½ | ½ |  |  |
| 4 | შტეინი | 0 | ½ | ½ | ■ | ½ | 1 | 1 | 0 | 1 |  |  |  |  |  |  |  |  |  | 1 | 1 | ½ |  |  |
| 5 | ნიკოლაევსკი | 0 | 1 | 1 | ½ | ■ | ½ | 0 | 0 |  |  |  |  |  |  |  |  |  | ½ | 0 | 1 | ½ |  |  |
| 6 | ტაიმანოვი | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ■ | 1 |  |  |  |  |  |  |  |  |  | ½ | ½ | 0 | 1 | 1 |  |  |
| 7 | დოროშკევიჩი | 0 | ½ | ½ | 0 | 1 | 0 | ■ |  |  |  |  |  |  |  |  | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 0 |  |  |
| 8 | პოლუგაევსკი | ½ | 1 | 0 | 1 | 1 |  |  | ■ |  |  |  |  |  |  | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | ½ |  |  |
| 9 | ხოლმოვი | ½ | ½ | ½ | 0 |  |  |  |  | ■ |  |  |  |  | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 0 |  |  |
| 10 | სავონი | ½ | 1 | 1 |  |  |  |  |  |  | ■ |  |  | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 |  |  |
| 11 | გუფელდი | ½ | 1 |  |  |  |  |  |  |  |  | ■ | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | 0 |  |  |
| 12 | ნეი | ½ |  |  |  |  |  |  |  |  |  | ½ | ■ | 0 | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ |  |  |
| 13 | ბრონშტეინი |  |  |  |  |  |  |  |  |  | ½ | 1 | 1 | ■ | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ |  |  |
| 14 | გიპსლისი |  |  |  |  |  |  |  |  | 0 | 1 | 1 | ½ | ½ | ■ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ |  |  |  |
| 15 | გურგენიძე |  |  |  |  |  |  |  | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | ■ | 1 | ½ | ½ | ½ |  |  |  |  |
| 16 | ლეინი |  |  |  |  |  |  | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 0 | ■ | ½ | 1 |  |  |  |  |  |
| 17 | კორჩნოი |  |  |  |  |  | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ■ |  |  |  |  |  |  |
| 18 | სუეტინი |  |  |  |  | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 |  | ■ |  |  |  |  |  |
| 19 | კროგიუსი |  |  |  | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ |  |  |  | ■ |  |  |  |  |
| 20 | ლიბერზონი |  |  | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ |  |  |  |  |  | ■ |  |  |  |
| 21 | სმისლოვი |  | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | ½ |  |  |  |  |  |  |  | ■ |  |  |

# რეატები

ხშირად უჩვეულო მდგომარეობაში, ჰაერში დაკიდებულს გიხდება დასვენება.

გამარჯვებულებს ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. კახიანი. ჯგუფში შედიოდნენ ინჟინრები და მეცნიერ-მუშაკები, სპორტის ოსტატები გ. სტეპანოვი, ვ. ნაუგოლნი, ს. შაცკი, ი. პოროხნია, ა. ქერიმოვი, ს. შვედოვი და მ. ზალიხანოვი. ექსპედიციას მეთაურობდნენ ალპინიზმის ვეტერანები, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ხ. ზალიხანოვი და შ. ტენეშევი.

მთამსვლელისთვის განსაკუთრებით საპატიოა იმ მწვერვალის დაპყრობა, რომელიც ჯერ არავის აუღია. გასულ სეზონში ეს შეძლეს მხოლოდ უკრაინის სპარტაკელებმა, სპორტის ოსტატებმა, ინჟინრებმა ვ. ჩერევკომ, გ. შალაევმა, გ. კარლოვმა, გ. სემოჩკინმა, ექიმმა ი. ნაუმენკომ და კომკავშირულმა მუშაკმა ი. იაკოვენკომ. მათ სპორტის ოსტატ ა. კუსტოვსკის მეთაურობით 6.060 მ სიმაღლის პიკი „ოგპუ“ დაიპყრეს.

ტრავერსების კლასში ჩემპიონობა დაისაკუთრა ჩრდილოეთ ოსეთის ახალგაზრდულმა გუნდმა, რომელიც პირველთანრიგოსნებით იყო დაკომპლექტებული. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ვ. პოპოვი (ხელმძღვანელი), ვ. გერასიმოვი, გ. დოლგოვი, ბ. ლუნევი და ი. ნოვგოროდსკი. ხუთეულმა 18 დღეში ჩაატარა სუგანის ქედის (აღმოსავლეთ კავკასიონი) 15 მწვერვალის ტრავერსი აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ავიდა მთავარ გალდორზე ჩრდილოეთის კედლით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი მესიმაღლე ალპინისტების წარმატება. შარშან ზაფხულს სამ შვიდათასიანზე (კომუნიზმის, ლენინისა და კორჟენევსკაიას პიკებზე) ავიდა 100-ზე მეტი მთამსვლელი. ამრიგად, 7.000-მეტრიან მწვერვალებზე ფეხი შეუდგამს თითქმის 750 საბჭოთა ალპინისტს. ამდენი სპორტსმენი არ ასულა მსოფლიოს ყველა შვიდათასიანზე ერთად. როგორც წინა წლებში, ალპინისტებმა ახლაც ვერ დაიპყრეს მუხანათი ტიან-შანის გამარჯვების პიკი (7.439 მ).

შარშანდლამდე საბჭოთა ალპინისტებიდან ერთადერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ივანოვი იყო ნამყოფი სსრ კავშირის ოთხივე შვიდათასიანზე. კორჟენევსკაიას პიკის დაპყრობის შემდეგ ივანოვს მხარში ამოუდგნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინჟინერ-ჰიდროენერგეტიკოსი, მოსკოველი კ. კუზმინი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ლენინგრადელი კ. კლეცკო, და მოსკოველი ინჟინერი, სპორტის ოსტატი ვ. ბოჟუკოვი. სასიმაღლო ასვლების მსოფლიო რეკორდის მფლობელად კვლავ რჩება კ. კუზმინი, რომელიც 9-ჯერ ავიდა შვიდათასიან მწვერვალებზე.

ახლა საბჭოთა ალპინისტები გაცხოველებით ემზადებიან საიუბილეო სეზონისთვის, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

ა. პოლიაკოვი,
სპორტის ოსტატი.

მოსკოვში დამთავრებულ სპორტული ფილმების საკავშირო ფორუმზე III პრიზი დაიმსახურა ბ. კრეპსის დოკუმენტურმა სურათმა „უმბაზე ძლიერნი“. სურათზე თქვენ ხედავთ ამ ფილმის ერთ-ერთ კადრს.

# ემანუელ ლასკერი — დრამატურგი

ცნობილი გერმანელი მოჭადრაკე ემანუელ ლასკერი, რომელიც 27 წლის განმავლობაში ფლობდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს (1894-1921), როგორც ცნობილია, ამის გარდა, ფილოსოფოსი და მათემატიკოსიც იყო, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ლასკერი პიესებსაც წერდა.

1964 წლის მიწურულს მოსკოვში, გერცენის ქუჩაზე მდებარე უცხო წიგნების ბუკინისტურ მაღაზიაში ნაცნობმა გამყიდველმა გოგონამ საიდუმლოდ გადმომცა მოყავისფრო წიგნი და თან დასძინა: უნიკალურიაო. ეს წიგნი ძმებ ლასკერების — ბერტოლდისა და ემანუელის პიესა — „ამბავი ადამიანისა“ აღმოჩნდა*. საინტერესო ის იყო (და წიგნის ღირებულებასაც ზრდიდა), რომ შემთხვევით ხელთ ჩამივარდა თვითონ ე. ლასკერის ნაქონი ეგზემპლარი. წიგნის ტირაჟი ძალიან მცირეა (მხოლოდ 500 ცალი). ყოველი ეგზემპლარი ავტორების მიერ ყოფილა ხელმოწერილი და დანომრილი და მათ მიერ მეგობარ-ნაცნობთა შორის განაწილებული. მე მე-19 ნომერი შემხვდა. 1925 წელს ლასკერი მოსკოვში იმყოფებოდა და ეს წიგნი მოსკოველი მთარგმნელისა და თარჯიმნისთვის, ვლადიმირ ნეიშტადტისთვის უჩუქებია. წიგნს ასეთი წარწერა აქვს გერმანულ ენაზე: „ვლადიმირ ნოიშტადტს, ჩემი პირველი რუსული მოხსენების მთარგმნელს, რუსული ენისა და პოეზიის ოსტატს. ემანუელ ლასკერი, მოსკოვი, 8 დეკემბერი“.

ვლადიმირ ნეიშტადტი იყო რუსი პოეტი და პროფესიონალი მთარგმნელი (თარგმნიდა გერმანულიდან, სხვადასხვა დროს უთარგმნია გოეთეს, ჰაუპტმანის, ბეჭერის და სხვათა ნაწარმოებები).

წიგნს აქვს ვ. ნეიშტადტის წარწერაც: „მივიღე ე. ლასკერისაგან, მოსკოვში მისი ყოფნის დროს 1925 წელს“.

ძმები ლასკერების პიესა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. იგი შედგება პროლოგისა და 5 მოქმედებისაგან, პირველ მოქმედებაში პრეისტორიული ხანაა გამოსახული, მეორეში — ძველი დროება, მესამეში — შუა საუკუნეები, მეოთხეში — აწმყო, თანადროულობა, ხოლო მეხუთეში — მომავალი.

ნაწარმოებში მხატვრული შემოკლებებით (ე. წ. აბრევიატურებით) გადმოცემულია კაცობრიობის და ადამიანის ისტორია დიდი ისტორიული ეპოქებისა და ფორმაციების მიხედვით.

პიესის პროლოგი ძალიან ჰგავს გოეთეს „ფაუსტის“ „ზეცაში პროლოგს“ (და საერთოდაც მთელი ნაწარმოები ავტორების მიერ გოეთეს „ფაუსტის“ თავისებურ თანადროულ პარალელად და პაროდიად არის ჩაფიქრებული). ლასკერების პიესის პროლოგის მოქმედი პირნი არიან: ვარსკვლავთა მამა, მიწის დედა, მასხარა და ადამიანი. მასხარა ვარსკვლავთა მამას აღუთქვამს: ადამიანის, კაცობრიობის ისტორიას, ადამიანის ქმნადობას პიესის სახით გიჩვენებთო. ვარსკვლავთა მამა ღმერთის მსგავსია, მასზე მიწის დედა ამბობს: „ამ ქვეყნად სიცოცხლის მამა, მამაჩემიც, ყველა ჩვენგანის მამა“. თუმც, მეორე მხრივ, თვითონ ვარსკვლავთა მამა ეუბნება ადამიანს: „მეც შენსავით შექმნილი ვარ, ვარ ბოლოვადი, ვარ მოკვდავი და ეს მახარებს...“

მიწის დედა ეუბნება ვარსკვლავთა მამას ადამიანის შესახებ: „ადამიანი — ჩემი ყველაზე უმცროსი შვილი, ნიჭით აღვსილი, გამჭრიახი და გონგახსნილი...

... ადამიანი — სიხარულის და დარდის მომნიჭე...“

ვარსკვლავთა მამა ამბობს ადამიანზე: „ადამიანი — დიად საქმისთვის დაბადებული“.

ეს ადგილები აშკარად მოგვაგონებენ გოეთეს „ზეცაში პროლოგიდან“ ღმერთისა და ეშმაკის საუბარს. ოღონდ ლასკერების პიესის პროლოგი თამაშდება არა ზეცაში, არამედ უდაბნოში.

როგორც აღვნიშნე, ლასკერების ამ პიესისა და გოეთეს „ფაუსტის“ „ურთიერთდამთხვევა“ პროლოგით არ შემოიფარგლება. I მოქმედების II სცენაში პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი, არივასტი მოხუცად გვევლინება და მასხარას, რომელიც მას ჯადოქრად ესახება, სთხოვს: გამაახალგაზრდავეო. ესეც თავისებური „გადაძახებაა“ „ფაუსტთან“, მაგრამ შებრუნებული ნიშნებით: არც არივასტია ფაუსტი და არც მასხარა — მეფისტოფელი. პირიქით, არივასტი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით უფრო მეფისტოფელს უახლოვდება (ბოროტება, ვერაგობა, კაცთა შორის შუღლის დათესვა და ა. შ.), ხოლო მასხარა — ფაუსტს (სიკეთე, კაცთმოყვარეობა, სხვა ადამიანთა ბედზე ზრუნვა და ა. შ.). თუმც მასხარასა და მეფისტოფელს საერთო ის აქვთ, რომ ორივე ზებუნებრივი ძალითაა დაჯილდოებული, ხოლო არივასტი და ფაუსტი მოკვდავი ადამიანები არიან.

მასხარის გამოძახების სცენა ძალიან მოგვაგონებს „ფაუსტის“ მიერ მიწის სულის გამოწვევის სიტუაციას. ვხვდებით „ფაუსტის“ ფრაზეოლოგიურ-ლექსიკურ პაროდირებასაც. მაგალითად, მასხარა ეუბნება არივასტს: „შეწყალება ჰპოვებს ყოველი არსება, რომელიც ცდება, მაგრამ მაინც წინ მიისწრაფვის“.

გავიხსენოთ ღმერთის ნათქვამი „ფაუსტიდან“: „ადამიანი მუდამ ცდება, ვიდრე ისწრაფვის“...

კვლავ „ფაუსტის“ პაროდირებას ვხვდებით IV მოქმედებაში.

კაბარეტისტი მღერის კაფეში:
„ერთ დროს ვსწავლობდი მე
გულმოდგინედ,
ნდობაცა მქონდა ფილოსოფიის,
მაგრამ მოვტყუვდი, გული
გამიტყდა,
აწ ბაიბურიდ არ ჯავდიპ მასაც“.

შეადარეთ „ფაუსტის“ ცნობილ სტრიქონებს:

„ფილოსოფია, სამართლის ცნება
და მედიცინა ღრმად შევისწავლე,
და სამწუხაროდ ღვთისმეტყველებაც
მთლად შევითვისე, თუმც კი ვეწვალე
მაგრამ კვლავ დავრჩი საცოდავი,
ჭკუით ღარიბი...“

„ფაუსტის“ პაროდირება, ერთის მხრით, იმით უნდა იყოს განსაზღვრული, რომ გოეთე თავის ამ ნაწარმოებში დიდ იმედებს ამყარებდა ბუნებისმეტყველებაზე, ბუნების შეცნობაზე, ბუნების დამორჩილებაზე და ა. შ. „ამბავი ადამიანისა“ კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ბუნების მეცნიერებათა, ტექნიკის და ა. შ. გადაჭარბებული პრეტენზიების მიმართ.

ლასკერების მთელ პიესას თავიდან ბოლომდე მიჰყვება „არა კაც კლას“ ჰუმანისტური იდეა. ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში (I მოქმედება) ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი პირი, რომელიც ყარიბის სახელითაა შემოყვანილი პიესაში, ნადირობისას ძუ მგელს დაინდობს. ძუ მგელი თავისი ლეკვის გადარჩენას ლამობდა. ყარიბმა ძუ მგლის თვალებში დედის მზერა დაიჭირა. ნაჩვენებია ადამიანში ადამიანის გაღვიძება: ყარიბმა ვერ მოკლა სულდგმული. I მოქმედების (რომელიც უღრან ტყეში ხდება) ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია ადამიანში სიბრალულის, დანდობის, არგამეტების ჩასახვა.

მაგრამ სისხლისღვრა, კაცთა ხოცვა არ წყდება არც II მოქმედებაში, რომელიც ძველდროებას გამოსახავს. ფიზიკური უხეში ძალის, ძალმომრეობის, ძალაუფლების განსახიერებაა არივასტი, რომელიც მოქმედებიდან მოქმედებაში გადადის, ე. ი. კაცობრიობის ისტორიის ყველა ეპოქაში გვხვდება და მხოლოდ V მოქმედებაში, ე. ი. მომავალში იღუპება.

II მოქმედების I სცენა ბაბილონში თამაშდება, II სცენა — ღამით ტყეში, III სცენას ძველ საბერძნეთში გადავყავართ. სხვებს შორის აქ მოქმედ პირებად გვევლინებიან: სოკრატე, პლატონი, პროტაგორა... ეწყობა დისპუტი სოკრატესა და პროტაგორას შორის ათენელი არისტოკრატის აგათონის სახლში. სოკრატე ამბობს: „სჯობს უსამართლობას იტანდე, ვიდრე უსამართლობას სჩადიოდე“. პროტაგორა უპასუხებს: „სჯობს უსამართლობას წინ აღუდგე, ვიდრე უსამართლობას იტანდე“. დისპუტს პლატონიც ერთვება. აგათონი „ესთეტიცისტურ“ აზრს გამოთქვამს: „ჭეშმარიტის და მცდარის ცნებები ჩვენ ბარბაროსებისა და ლაკედემონელთათვის დაგვილოცნია“. დისპუტში სოკრატე ამარცხებს პროტაგორას და პროტაგორა იძულებულია უღლის ქვეშ გაიაროს.

IV სცენაში უკვე პირველი ქრისტიანებიც ჩნდებიან, რომლებიც წარმართებს ქვეყნის აღსასრულს უწინასწარმეტყველებენ და ცოდვების მონანიებას urჩევენ. ძალიან საინტერესოა წარმართებისა და ქრისტიანების კამათი:

— მოინანიეთ ცოდვილებანი თქვენი, რამეთუ მოახლოებულია საშინელი სამსჯავრო, — გაჰყვირის ქრისტიანი.

— საშინელი სამსჯავრო მოახლოებულია, — ეს არის დღე, როს ეს ქვეყანა ლოგოსის მეშვეობით სრულიქმნება, — უპასუხებს ელინი.

ქრისტიანი უკან არ იხევს:

— შენი ლოგოსი ეს წარმართთა ბრმა ღმერთია. ეთოსია ჭეშმარიტი ღმერთი.

II მოქმედების დასასრულს ვტყობილობთ, რომ ბარბაროსები უტევენ ანტიკურ სამყაროს და მის დამხობას ლამობენ.

III მოქმედება შუა საუკუნეებს განასახიერებს. მოქმედ პირთა შორის ვხვდებით ატილასაც. არივასტი შუა საუკუნეებში მძარცველი ფეოდალია, რაინდთა მეთაური, ფეოდალური ძალმომრეობის, უხეში ფიზიკური ძალის განსახიერება. მასხარა, რომელიც ბრძენ და კეთილ გენიად გვევლინება, ადამიანთა შემწედ და მათ ბედზე მზრუნველად, პიესის ყველა მოქმედებაში გვხვდება. იგი III აქტში ასე აჯამებს ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების კულტურებს: „ერთ დროს (ე. ი. ანტიკურ ხანაში. — ნ. კ.), ადამიანო, შენ ამქვეყნად ეძებდი სრულქმნას, მაგრამ შემდეგ მწარედ მოინანიე ეს კადნიერება. ახლა (შუა საუკუნეებში. — ნ. კ.) სრულყოფას საიქიოში იმედოვნებ და ამისათვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაგექცევა...“

ავტორები გვიჩვენებენ შუა საუკუნეთა მშრომელების, ხელოსნების, საერთოდ, ხალხის სიცოცხლისმოყვარეობას, ამა ქვეყნის — სააქაოს სიყვარულს. III მოქმედების ბოლოში მდაბიონი, მაშვრალნი შრომასა და ამა ქვეყანას ასხამენ ხოტბას. ისინი ტაძრიდან განდევნიან პრიორსა და სხვა სასულიერო პირთ, რომელნიც მათ მორჩილებასა და მოთმინებას urჩევენ. მჭედელი, რომელიც ხალხის ამბოხს მეთაურობს, გაჰყვირის:

— გაუმარჯოს შრომას! გაუმარჯოს სააქაოს! გაუმარჯოს ადამიანს!

IV მოქმედებაში აწმყო, ე. ი. კაპიტალიზმის ეპოქაა განსახიერებული და დასმულია ე. წ. კაპიტალისტურ-ინდუსტრიული ცივილიზაციის ხიფათის პრობლემა. ამ მოქმედებიდან ირკვევა, რომ პიესის ავტორები ჯერ კიდევ 1925 წელს მშვენივრად გრძნობდნენ პოზიტივიზმის, ბუნებისმეტყველური მეთოდის „აგრესიის“ საშიშროებას, როცა ტექნოკრატიული ტენდენციები, მანქანის გამაღმერთებელი მიმდინარეობა, კიბერნეტიკის კულტი ჯერ კიდევ არ იყო ასე აშკარა. საგულისხმოა, რომ თვითონ მათემატიკოსი ლასკერი არ დგას ტექნიცისტური ოპტიმიზმის პოზიციაზე. პირიქით, იგი ლაპარაკობს მათემატიკურ-ბუნებისმეტყველური მეთოდის ფარგლებზე. ის, რაც 1925 წელს იცოდა ე. ლასკერმა, არ იცის დღეს ბუნებისმეტყველური მეთოდის ბევრმა თაყვანისმცემელმა, რომლებიც მათემატიკურ-ბუნებისმეტყველური მეთოდის მოქმედების არეს უსაზღვროდ აფართოებენ და ისეთ სფეროებშიც უნდათ შეიტანონ, რომელნიც ბუნების კანონებს არ ექვემდებარებიან. ლასკერების პიესაში დასმული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიისა და ხელოვნებისათვის: ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთმიმართება, ტექნიკის განვითარება და ზნეობა, ბუნებისმეტყველური მეთოდის შესაძლებლობანი და ფარგლები, თანამედროვე ტექნიკით მიღწეული კომფორტის კულტი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ძმები ლასკერები ამ პრობლემას ისევე წყვეტენ, როგორც ამ საკითხის, ე. ი. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სპეციალისტები, რომლებიც სპეციალურად იკვლევენ ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთდამოკიდებულებას, ბუნებისმეტყველური მეთოდის ადამიანურის სფეროში გადატანის შესაძლებლობას და ა. შ.

ასევე წყვეტდნენ და წყვეტენ ამ პრობლემას მსოფლიოს უდიდესი და მნიშვნელოვანი ხელოვანები: დოსტოევსკი და ჰოფმანი, ანატოლ ფრანსი და გი დე მოპასანი, ჰერმან ჰესე და კაფკა, ჰაინრიჰ ბიოლი და ფოლკნერი, ანდრეი ვოზნესენსკი და ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, ფრიდრიჰ დიურენმატი და მაქს ფრიში, ფედერიკო ფელინი და ანტონიონი, ალან რენე და გოდარი და სხვები და სხვები (გენიალურმა დოსტოევსკიმ საოცარი სიმძაფრით იგრძნო მათემატიკურ-ბუნებისმეტყველური მეთოდის გააბსოლუტების საშიშროება. თანადროულობის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვანები შეშფოთებული არიან მანქანის გამაღმერთებელი ტენდენციებით).

ახლა დავიმოწმოთ მასალა ლასკერების პიესიდან.

IV მოქმედების დასაწყისში საუბრობენ მასხარა და მიწის დედა, რომლებიც ყოველი მოქმედების (ე. ი. ყოველი ახალი ეპოქის) დასაწყისში ხვდებიან ერთმანეთს.

მასხარა: ადამიანები იბრძვიან, მიიჩქარიან, იკვლევენ, აშენებენ, იმორჩილებენ სივრცესა და დროს.

მიწის დედა: კი მაგრამ, ახლა ისინი უფრო ბრძენნი არიან?

მასხარა: მათ დაიმორჩილეს ბუნება, დაადგინეს ბუნების კანონები. და ეს არის მათი ღმერთი, მაგრამ ვაჰმე, რომ ეს ურჩხულია.

მიწის დედა: ვაჰმე, ვაჰმე!

მეორეგან ვხვდებით ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა გააბსოლუტების და აპოლოგიის ირონიზირებას:

— ჩვენ ხომ გრძნობაც გვაქვს.

— ეს არის მხოლოდ ოდენობის და ზომის ამბავი.

— ყოველ მიზეზს აუცილებლად ერთიდაიგივე შედეგი მოსდევს.

— ამიტომ ვამბობ, მოიხადეთ ქუდი მეცნიერების (იგულისხმება ბუნებისმეტყველური მეცნიერება. — ნ. კ.) წინაშე, თაყვანი ეცით ბუნების კანონს!

ბუნებისმეტყველური მეცნიერების თაყვანისმცემელი ასე „ასაბუთებს“ თავის თვალსაზრისს:

— განა შემიძლია ელვას ვუბრძანო, „აი, ეს გზა აირჩიე-მეთქი!“ რას მიპასუხებდა იგი ასეთ შემთხვევაში? „მე ნაკლები წინააღმდეგობის გზას გავდივარ, რადგან ეს არის ჩემი კანონი“.

— მეცნიერება ყოვლის შემძლეა.

— ყველაფერი ორგანიზებულია. ყველაფერს ვიმორჩილებთ ცნებებით, ექსპერიმენტებით, გაზომვით.

— ერთადერთი ჩვენი იდეალია მეცნიერება.

დამახასიათებელია, რომ პოზიტივიზმის, ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა მომხრედ გვევლინება ძალადობის, უზნეობის, უსიყვარულობის განსახიერება — არივასტი

ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების შეპირისპირებასაც (ავტორების ჰუმანიტარული პოზიცია ეჭვს არ იწვევს).

— ცხოვრება, სინამდვილე აღემატება მეცნიერების ყოველ ფორმულას და ეს არის თავისუფლება.

— თავისუფალია ცხოვრება, თავისუფალია გონი და ნება ადამიანისა, ადამიანი არ არის რაღაც მექანიზმი, რომლის მუშაობა წინასწარ ვიცით. გამოთვლა, გამოანგარიშება შეიძლება ზოგი რამის, ადამიანის ცხოვრებისა — არა.

— ო, ეს პოეტების ფანტაზიებია.

— ყოველი კაცი შემოქმედია და ეთოსი არის ჩვენი ღმერთი.

— მხოლოდ მეცნიერებაა ღმერთი.

— ადამიანებმა უნდა იბატონონ თუ მეცნიერებმა?!

— ნუთუ ამ ქვეყნად ყველაფერი ბუნების კანონების მიხედვით ხდება?! სადღაა ეთოსი?!

— ქვა კვლავ ეცემა ძირს, პლანეტები კვლავ მოძრაობენ. ყოველი მოქმედება ხდება რაიმე მიზეზით.

ლასკერების მიერ თვალნათლივაა ნავრძნობი XX საუკუნის დასავლეთელი ადამიანის ეგზისტენციური შეჭირვება, ბურჟუაზიულ ეპოქაში პოზიტივისტური თვალსაზრისის ბატონობა.

V მოქმედებაში მომავალია გამოსახული. აქ ნაჩვენებია, რომ ადამიანები თანდათან მიხვდებიან ცხოვრების, ადამიანური არსებობის ჭეშმარიტ აზრს, იმას, რასაც დღედაღამობით ჰუმანიტარული აზროვნება, მთელი თანამედროვე ხელოვნება მოგვიწოდებს. მეცნიერებას მიეჩინება თავისი კანონიერი ადგილი, ეთოსი აღსდგება თავის უფლებებში, არივასტი კვდება, ხალხში ძმობილობიდან და მყარდება მარადიული მშვიდობა.

**ნოდარ კაკაბაძე.**

---

* Bertold Lasker und Emanuel Lasker, Vom Menschen die Geschichte, Drama in einem Vorspiel und fünf Akten, 1925, Wertbuchhandel Berlin.

# რ. რურუა და ა. კიკნაძე „სეზონის გმირთა“ შორის





შარშანდელმა წელმა საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში დიდი და წარუშლელი კვალი დატოვა. გაუმჯობესდა მრავალი მსოფლიო რეკორდი და მიღწევა. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ევროპისა და მსოფლიო პირველობებმა ბევრი საერთაშორისო კლასის ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა.

ჩეხოსლოვაკიის სპორტული ჟურნალი „სტადიონი“ ორიგინალურად გამოეხმაურა შარშანდელი სეზონის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. რედაქციამ რეფერენდუმის გზით დაასახელა გასული სპორტული წლის გმირები ცალკეულ სახეობებში. რეფერენდუმს საფუძვლად დაედო შარშან ჩატარებული მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა შედეგები. აი, ვის თვლის რედაქცია შარშანდელი სეზონის ლაურეატებად.

**კრივი.** კასიუს კლეი (მოჰამედ ალი), რომელმაც წარმატებით დაიცვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული პროფესიონალთა შორის.

**ველოსპორტი.** ჰოლანდიელი ე. დოლმანი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა. პროფესიონალთა შორის „სტადიონს“ შარშანდელი სეზონის გმირად მიაჩნია გფრ-ის წარმომადგენელი რ. ალტიგი.

**ძიუ-დო.** ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ა. კიკნაძე, რომელმაც ლუქსემბურგში დამაჯერებლად მოუგო ამ ტიტულის მრისხანე პრეტენდენტებს ა. მაიერს (გფრ) და კ. ჰერნინგს (გდრ). ჟურნალი აღნიშნავს აგრეთვე სსრ კავშირის ძიუდოისტთა გუნდს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწია.

**ფეხბურთი.** აქ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დასახელებულია ინგლისის ეროვნული ნაკრები — მსოფლიოს ჩემპიონი. ჟურნალი ასახელებს შემდეგი ფეხბურთელების გვარებს: სტაილზს, ჰანტს, ბენქსს, ჯ. ჩარლტონს, კოენს, უილსონს, პიტერსს, ჰერსტს, მურს, ბოლს, რ. ჩარლტონს და გუნდის მთავარ სელექციონერს ა. რამსეის.

**კალათბურთი.** სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები.

**ჰოკეი.** სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. ჟურნალის აზრით, სწორედ ეს ორი კოლექტივი და კიდევ კანადის გუნდი მომავალ მსოფლიო პირველობაზე გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იქნებიან.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** უნგრელი ა. ბალცო, რომელმაც უძლიერესი ხუთჭიდელის სახელი ავსტრალიის მსოფლიო ჩემპიონატში დაიმტკიცა.

**ცურვა.** „სტადიონის“ აზრით, გ. პროზუმენშჩიკოვა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე ქალია. ამიტომ ცხადია, ჟურნალმა თავისი ხმა სწორედ მას მისცა.

**ტანვარჯიში.** აქ ორი აზრი არ არსებობს. ქალთა შორის უძლიერეს ტანმოვარჯიშედ და სპორტული სეზონის გმირად ჟურნალმა თავისი თანამემამულე ვ. ჩასლავსკა დაასახელა, ხოლო ვაჟთა შორის—მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი — მ. ვორონინი.

**ჭადრაკი.** სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო საჭადრაკო ოლიმპიადა.

**ჩოგბურთი.** ესპანელი მ. სანტანა, უიმბლდონის ტურნირის გმირი და მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი.

**ჭიდაობა.** საბჭოთა ათლეტი რ. რურუა, რომელმაც შარშან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და თავი ისახელა მექსიკაში სპორტის საერთაშორისო კვირეულზე სენსაციური გამარჯვებით (როგორც ცნობილია, მეხიკოში რ. რურუამ მოიგო არა მარტო კლასიკოსთა, არამედ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირიც).

• • •

სურათებზე: მარჯვნივ — კასიუს კლეი უილიამსთან გამარჯვების შემდეგ, შუაში — უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი ესპანელი მ. სანტანა. მარცხნივ — მსოფლიო პირველობის ფინალური ბრძოლის მომენტი რ. რურუასა და შვედ ლ. ფრეის შორის.

ფოტო ჟურნალ „სტადიონისა“
(ჩეხოსლოვაკია).

---

### სხვათა შორის

## რეკორდომანია

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე როგორც მთელ კაპიტალისტურ სამყაროში, დიდი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. სპორტული ჟურნალი „რეკორდი“, რომელიც ყოველ კვირა დღეს გამოდის ნიუ-იორკში. იგი სისტემატურად აშუქებს მსოფლიო რეკორდებსა და მიღწევებს „სპორტის“ სხვადასხვა სახეობაში. ჩვენ ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვბეჭდავთ ზოგიერთ სარეკორდო მაჩვენებელს. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ როგორ ესმით სპორტი და უმაღლესი სპორტული მიღწევები შეერთებულ შტატებში.

● მსოფლიოში ყველაზე დიდი საბანკო ნიშანი აშშ-შია გამოშვებული — 100 ათასი დოლარი.

● მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ავტომანქანა შეიქმნა დეტროიტში, 1962 წლის ნოემბერს. იგი 150 ათასი დოლარი ღირს. სარეკორდო მანქანის შექმნას 7 წელი დასჭირდა.

● ქალებში ყველაზე დიდი ქონება სიკვდილის შემდეგ დატოვა ამერიკელმა ჰენრიეტა გრინმა — 2 მილიარდ 100 მილიონი დოლარი. **შენიშვნა: „რეკორდსმენმა“ ვერაფრით ვერ გაიმეტა რამდენიმე დოლარი თავისი ერთადერთი ავადმყოფი შვილის ფასიან საავადმყოფოში დასაწვენად. უფასო კლინიკის ძიებაში ოპერაცია დაგვიანდა და ექიმები იძულებული გახდნენ მილიარდერის შვილისთვის ფეხი მოეჭრათ.**

● ყველაზე დიდი მოგება საფეხბურთო ტოტალიზატორში წილად ხვდათ ინგლისელ ცოლ-ქმარ ჰარისონებს — 338 ათასი გირვანქა სტერლინგი. **შენიშვნა: ხანშიშესული ცოლ-ქმარი არასდროს დასწრებიან ფეხბურთს.**

● მსოფლიო რეკორდი უმი კვერცხის ჭამაში ეკუთვნის 53 წლის ინგლისელ ს. ბარხემს. მისი შედეგია 56 უმი კვერცხი 2 წუთში.

● მსოფლიო რეკორდსმენი მოხარშული კვერცხის ჭამაში კი ბელგიელ ჟორჟ გრონიეა. — 44 კვერცხი. **შენიშვნა: ეს შედეგი ნაჩვენები იქნა 1956 წლის 31 მაისს. მას შემდეგ რეკორდის გაუმჯობესების დაახლოებით ოცამდე ცდა იყო, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, 44 მოხარშული კვერცხის შესანსვლა არც ისე იოლი საქმეა.**

● ლუდის სწრაფ მსმელთა შორის მსოფლიო რეკორდსმენია ინგლისელი ლ. უილიამსი. 1961 წელს ლიტრანახევარი ლუდის დალევას მან 7,9 წამი მოანდომა.

● ლუდის მსმელთა შორის სხვა სახის რეკორდიცაა რეგისტრირებული — დალეული ბოთლების რაოდენობისა. აქ უმაღლესი მიღწევის ავტორი გახლავთ ფრანგი ოგიუსტ მაფრე — 11,3 ლიტრი 52 წამში.

● 19 წლის ერიკა ბეიმი დასავლეთ ბერლინის ჩემპიონია ტვისტის ცეკვაში: ჩემპიონატში მან სულ 297 მატჩი ჩაატარა. **შენიშვნა: ბეიმის შედეგის მსოფლიო რეკორდად დამტკიცებას წინ არაფერი უდგას.**

● მსოფლიოში ყველაზე მძიმე ადამიანია რობერტ ირლ ჰიუგსი (აშშ, ილინოისის შტატი). 6 წლის ასაკში იგი 92 კილოგრამს იწონიდა, 13 წლისა — 247 კგ-ს, 1957 წელს მან სარეკორდო წონას მიაღწია — 485 კგ-ს.

● ბოროტმოქმედებათა ისტორიაში ბადალი არ ჰყავს ჰერმან უებსტერ მაჯეტს (აშშ), მან თავის პანსიონატში (ქალაქ ჩიკაგოს მახლობლად) 150 ქალი მოკლა.

● ბოროტმოქმედ ქალთა შორის ჩემპიონად ბ. პ. სორენსენი (აშშ) ითვლება. მშვენიერთა სქესის წარმომადგენელმა სულ 28 ადამიანი იმსხვერპლა.

● გაუხსნელი ბოროტმოქმედებებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი ჩიკაგო.

---

△ **დორტმუნდი.** დახურულ შენობაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 1 მილზე რბენა მოიგო ჰ. ნორპოტმა— 4.08,9. ათჭიდში ევროპის ჩემპიონმა ვ. ფონ მოლტკემ 60 იარდზე თარჯრბენში — 7,4 აჩვენა.

△ **ბაიულაკტი.** ე. მუსტაკარიმ ჭოკით 512 სანტიმეტრი სიმაღლე გადალახა და დახურულ შენობებისთვის ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა.

△ **ბოსტონი.** „კოლუმბის რაინდთა“ ტრადიციულ ტურნირში 1000 იარდზე კარგი დრო (2.09,1) აჩვენა რ. იურმინამ. 1 მილზე გაიმარჯვა კანადელმა ე. ლეპსმა — 4.06,4. 2 მილზე მისმა თანაგუნდელმა — დ. ელისმა — 8.47,6. ჭოკით ხტომა მოიგო მ. ჰეინმა — 483 სმ.

---

## მსაჯები უკვე დანიშნეს

გასული წლის დამლევს დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები კალათბურთში. წელს, 20 მარტისთვის უნდა დამთავრდეს მეოთხედფინალური ტურნირები. ბრძოლაში პირველად ჩაებმებიან II მეოთხედფინალური ჯგუფის წარმომადგენლები, იუგოსლავიის „ოლიმპია“ და საფრანგეთის „ვილერბონი“.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამ დღეებში დანიშნა არბიტრები — შვეიცარიელი რ. ვებერი და ბულგარელი რ. ილიევი. შეხვედრის დირექტორად და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლად დამტკიცდა რ. ბალეუესი (ბელგია).

---

## ყოველი მხრიდან

### მოჭადრაკის... რეკორდი

იმ დღეს ინგლისელი მოჭადრაკე სტიუარტ რიუბენი ყოველ მეხუთე წამში აკეთებდა სვლას. იგი თამაშობდა ზედიზედ ცხრა საათს.

რა იყო ეს—გრძელი, მარათონული პარტია? არა. რიუბენი ატარებდა ერთდროული თამაშის გრანდიოზულ სეანსს ახალგაზრდა ლონდონელ მოჭადრაკეებთან.

7 საათი და 50 წუთი რომ გავიდა, რიუბენმა 142-ე პარტია დაამთავრა. ამით მან გაიმეორა ინგლისის რეკორდი, რომელიც ჯ. მარტინმა დაამყარა 1956 წელს. ხუთი წუთის შემდეგ, როცა ფარ-ხმალი დაყარა 13 წლის რ. ტერნერმა, გაჩნდა კიდევ ერთი ახალი რეკორდი, სეანსის ბოლოს კი რიუბენმა განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია: დაასრულა 172-ე შეხვედრა. მან მოიგო 141, ყაიმით დაამთავრა 6 და წააგო 15 პარტია.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03927